ELECTIONS OF PROVINCIAL ASSEMBLY MEMBERS IN ZUGDIDI DISTRICT (1920)

საერობო ხმოსანთა არჩევნები ზუგდიდის მაზრაში (1920 წ.)

Bakur Lashkhia
Sokhumi State University, Doctoral Student in History.
Tbilisi, Georgia.
ORCID: 0009-0001-2729-8578
(+995) 571 66 26 61; b.lashkhia2015@gmail.com

Abstract

In November 1917, the National Council of Georgia passed a resolution on national reform, according to which a three-stage national system was to be introduced in Georgia: a small national-territorial unit, uyezd and province, or district. National elections were to be held under a universal (regardless of gender), direct, equal, secret and proportional system.

On February 10, 1918 the Transcaucasian Seim began to work and urgently established the Commission of Local Government and Self-Government. On February 18, the Secretariat of the Nation's Introductory Instructor was established, which began establishing national uyezd commissions.

On October 16, 1919, Chairman of Zugdidi Board Leo Shengelaia resigned from his post, and the Zugdidi Board asked the Georgian government to hold new elections of voters in Zugdidi Uyezd.

On January 25, 1920, a second national election was held in Zugdidi Uyezd. There were 65,728 registered voters in Zugdidi Uyezd. 20,841 voters partici-

pated in the election; 19 ballots were declared invalid.

The results for different political parties were as follows: Social-Democratic Workers' Party of Georgia: 10,436 votes; National-Democratic Party of Georgia: 2,890 votes;

Socialist-Revolutionary Party of Georgia: 5863 votes;

Revolutionary Party of the Socialists-Federalists of Georgia: 1,633 votes.

Key words: Zugdidi Uyezd, voters' congress, election commission, voters, polling stations, electoral list.

ბაკურ ლაშხია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ისტორიის დოქტორანტი.
თბილისი, საქართველო.
ORCID: 0009-0001-2729-8578
(+995) 571 66 26 61; b.lashkhia2015@gmail.com

აბსტრაქტი

1917 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ერობის რეფორმის შესახებ რეზოლუცია მიიღო, რომლის თანახმადაც საქართველოში უნდა დანერგილიყო სამსაფეხურიანი საერობო სისტემა: მცირე საერობო ტერიტორიული ერთეული, სამაზრო და საგუბერნიო, ანუ საოლქო. ერობის არჩევნები საყოველთაო (განურჩევლად სქესისა), პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული სისტემით უნდა ჩატარებულიყო.

1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიის სეიმი მუშაობას შეუდგა, მათ სასწრაფო წესით შექმნეს ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის კომისია. 18 თებერვალს დაარსდა ერობის შემომღები ინსტრუქტორის სამდივნო, რომელმაც დაიწყო სამაზრო საერობო კომისიების შექმნა. 1919 წლის 16 ოქტომბერს ზუგდიდის გამგეობის თავმჯდომარე ლეო შენგელაია თანამდებობიდან გადადგა, ამასთან ზუგდიდის გამგეობამ საქართველოს მთავრობას სთხოვა ზუგდიდის მაზრაში ხმოსანთა ახალი არჩევნები ჩაეტარებინა.

1920 წლის 25 იანვარს, ზუგდიდის მაზრაში რიგით მეორე საერობო არჩევნები ჩატარდა.

ზუგდიდის მაზრაში რეგისტრირებული იყო 65 728 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 20 841 ამომრჩეველმა მიიღო. გაბათილებულ იქნა 19 ბიულეტინი.

პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია - 10 436 ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 2 890 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 5 863 ხმა; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია - 1 633 ხმა.

საკვანძო სიტყვები: ზუგდიდის მაზრა, ხმოსანთა ყრილობა, საარჩევნო კომისია, ხმოსნები, საარჩევნო უბნები, საარჩევნო სია.

შესავალი

რუსეთის იმპერატორები იმპერიის განაპირა მხარეებში საერობო სისტემის დანერგვის წინააღმდეგი იყვნენ. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შედეგად რუსეთში მეფის ხელისუფლება დაემხო. რუსეთში ხელისუფლებაში დროებითი მთავრობა მოვიდა, რომლის მიდგომა საერობო რეფორმასთან მიმართებაში მკვეთრად განსხვავებული იყო. 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში მომხდარი კონტრრევოლუციური გადატრიალების შედეგად კავკასია რუსეთს დე ფაქტო გამოეყო. საქართველოში შექმნილმა ეროვნულმა საბჭომ 1917 წლის ნოემბერში ერობის რეფორმის შესახებ

რეზოლუცია მიიღო, რომლის თანახმადაც საქართველოში ერობის სამსაფეხურიანი სისტემა უნდა დანერგილიყო. ერობას უნდა მინიჭებოდა სამეურნეო ფუნქციებთან ერთად ადგილობრივ საქმეებში სახელმწიფო მმართველობის უფლებებიც.

ამიერკავკასიის სეიმის ინსტრუქტორის სამდივნომ დაიწყო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობიდან სამაზრო საერობო კომისიების შექმნა. მთავარი საერობო ინსტრუქტორის თანამდებობაზე ვიქტორ თევზაია დანიშნეს, მის თანაშემწედ - ტიტე მარგველაშვილი.

სამწუხაროდ საერობო ხმოსანთა არჩევნების ისტორია ზუგდიდის მაზრაში შესწავლილი არ არის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ირაკლი ხვადაგიანის საყურადღებო ნაშრომი, თუმცა მასში გარკვეული უზუსტობები შეინიშნება.

აღნიშნული სტატიის მიზანია დეტალურად წარმოაჩინოს ზუგდიდის მაზრაში საერობო არჩევნებისთვის მზადების პროცესი, არჩევნების მიმდინარეობა, მიღებული შედეგები, დაფიქსირებული ხარვეზები და ა. შ.

მეთოდი

სამეცნიერო სტატიის მოსამზადებლად გამოყენებულ იქნა წყაროების კრიტიკული შესწავლის და ანალიზის კვლევის მეთოდი.

შედეგი

ქართული ისტორიოგრაფიაში პირველად სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა პირველხარისხოვანი საარქივო დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ საერობო არჩევნებს ზუგდიდის მაზრაში. სტატიაში გასწორებულია ის უზუსტობები, რომელიც იყო დამკვიდრებული ქართულ ისტორიოგრაფიაში ცალკეულ საკითხებთან მიმართებაში:

მსჯელობა

1918 წლის 26 მაისს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მცირე ცვლილება განიცადა 1918 წლის იანვარში ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ დამტკიცებულმა საერობო თვითმმართველობის დებულებამ. დებულება უფრო მეტად მოერგო ქართულ სინამდვილეს.

1919 წლის 16 ოქტომბერს ზუგდიდის სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობის დადგენილების თანახმად ყრილობას არ შეეძლო გამგეობის შედგენა, ამიტომაც ზუგდიდის სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობამ საქართველოს მთავრობას სთხოვა ზუგდიდის მაზრაში ხმოსანთა ახალი არჩევნები ჩაეტარებინა.

აღნიშნულ დადგენილებას წინ უძღოდა გამგეობის თავმჯდომარის ლეო შენგელაიას განცხადება, გადადგომის შესახებ.

ამავდროულად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამაზრო ერობის ხმოსნების რწმუნების ვადა 1920 წლის 1 იანვარს სრულდებოდა. კანონის შესაბამისად კი 100 დღის მანძილზე ხელახალი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო (ფონდი 1863: 19).

1919 წლის დეკემბერს ქალაქ ზუგდიდის საარჩევნო კომისიის სხდომა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ: გ. ჭედია, ბ. ჩილაჩავა; ქალაქის თავი ი. დადიანი; პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან გამოცხადდა კ. კობახიძე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან - ნ. დარასელია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან ა. ანჯაფარიძე. კომისიის წევრებიდან სხდომაზე არ გამოცხადდა სოკრუს კეშელავა. სხდომის თავმჯდომარედ აირჩიეს გ. ჭედია, მდივნად - ა. ანჯაფარიძე (ფონდი 1863: 27).

1919 წლის 30 დეკემბერს, ზუგდიდის მაზრის ადმინისტრაციის მოთხოვნით, ზუგდიდის გვარდიელები ყაჩაღების წინააღმდეგ საბრძოლველად იყვნენ გაგზავნილნი. რის გამოც მათ წართმეული ჰქონდათ შესაძლებლობა საარჩევნო უბნებში საკუთარი სახელი და გვარი დაეფიქსირებინათ. გადაწყდა, ეს პირები, ქალაქ ზუგდიდის საარჩევნო სიაში შეეყვანათ (ფონდი 1863: 34).

1920 წლის 2 იანვარს ქალაქ ზუგდიდის ეროვნულ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ერობის ხმოსნად სპირიდონ მალხაზის ძე კედია და მის კანდიდატად კალისტრატე გახუს ძე დგებუაძე დაასახელა (ფონდი 1863: 38). 1920 წლის 16 იანვარს ქალაქ ზუგდიდის უპარტიო ჯგუფმა ერობის ხმოსნად იოსებ თევდორეს ძე გეგელია დაასახელა (ფონდი 1863: 43).

1920 წლის 16 იანვარს ქალაქ ზუგდიდის სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მიერ ერობის ხმოსნად ექიმი ანდრია პატარაია დასახელდა, ხოლო მის კანდიდატებად მელქისედეკ კობახიძე და პეტრე უგულავა (ფონდი 1863: 44).

1920 წლის 20 იანვარს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ სამაზრო ერობის ხმოსნებად ივანე პავლეს ძე გობეჩია, ივლონ ივანეს ძე ოდიშარია და ივანე კედია დაასახელა (ფონდი 1863: 39).

1920 წლის 25 იანვარს ზუგდიდის მაზრაში დანიშნული სამაზრო საერობო არჩევნებისათვის საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიამ წარადგინა შემდეგი კანდიდატების სია:

წალენჯიხის პირველი საარჩევნო უბანი:

ლეო მიხეილის ძე შენგელაია, იოსებ ანტონის ძე კვარაცხელია, სამსონ შონია, პეტრე კიკოს ძე ქვარცხავა, არისტრახ შამუგია, დიმიტრი ჯაბეს ძე სამუშია, ანტონ შონია და კუკუსანი ხასია.

წალენჯიხის მეორე საარჩევნო უბანი:

ერასტო დავითის ძე კაჭარავა, მაქსიმე კონსტანტინეს ძე ვეკუა, მიხა ლემონჯავა, ანდრუშკა ვეკუა, ტროფინე ნიკოს ძე სიჭინავა, ივანე მალანია და პეტრე ბაკუს ძე ბერულავა.

ზუგდიდის პირველი საარჩევო უბანი:

ალექსანდრე ხიტუს ძე ჩიქავა, გიორგი ნესტორის ძე ჭედია, კაჭუ ჩიქოვანი, ალექსი შავას ძე დარასელია, დიანოზი ნესტორის ძე ცხაკაია, მიხა ივანეს ძე შამუგია, კალისტრატე ხუფენია, სტეფანე გურგენიძე, ანტონი ჯანაშია, მიხა კოდუა და იასონი გედენავა.

ზუგდიდის მეორე საარჩევნო უბანი:

იასონ ნიკიფორეს ძე მუჯირი, ექვთიმე სართანია, იონა ჩუხუა, ქვაჩალა ბაღათურია, ანტონი ჯანაშია, ბესარიონი ვეკუა, სოგრატი ღურწკაია, სიმონ ადამია, ბაგრატი რაფავა და ფილუ როგავა.

ხობის საარჩევნო უბანი:

დიომიდე თოფურიძე, დიმიტრი ივანეს ძე გვასალია, ნესტორ მიხეილის ძე ადამია, მიხა ივანეს ძე ტურავა, ბოკო კონსტანტინეს ძე ცხომარია, ისლამ კიკოს ძე დოლბაძე, იაგორა გვაძაბია, კოლია გოჯოს ძე კალანდია, ნეკტარი ჭანტურია და ლევან გაიოზის ძე ზარანდია.

ქალაქ ზუგდიდის საარჩევნო უბანი:

გიორგი ნესტორის ძე ჭედია და ბაგრატ ივანეს ძე ჩილაჩავა („ერთობა“, 1920: N15).

1920 წლის 25 იანვარს ზუგდიდის მაზრაში ჩატარებული რიგით მეორე საერობო არჩევნების თავმჯდომარის ლეო შენგელაიას მონაცემებით ზუგდიდის მაზრა 6 საარჩევნო უბნად დაიყო: წალენჯისის პირველი, წალენჯიხის მეორე, ზუგდიდის პირველი, ზუგდიდის მეორე, ხობის და ქალაქ ზუგდიდის.

წალენჯიხის პირველ საარჩევნო უბანი 7 საარჩევნო უბნად დაიყო: წალენჯიხის, ჯგალის, ობუჯის, ჯვარის, ლიის, ფახულანის და ჭალის.

წალენჯიხის პირველ საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობა 4 058 ამომრჩეველმა მიიღო. აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, წალენჯიხის თითოეულ საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეთა რიცხვის სტა-ტისტიკური მონაცემების დაჯამებით დადგინდა, რომ წალენჯიხის I საარჩევნო უბანზე არჩევნებში მონაწილეობა მიიღო არა 4 058 ადამიანმა, არამედ 4 066 ამომრჩეველმა - ბ. ლ.

პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია - 2 535 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 473 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 913 ხმა; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია - 137 ხმა (ფონდი 1863: 2).

1920 წლის 25 იანვარს წალენჯიხის მეორე საარჩევნო უბანი 9 საარჩევნო უბნად იქნა დაყოფილი: ჩხოროწყუ, ლეწურწუმე, კირცხი, ჭოღა, მუხური, ახუთი, ლესიჭინე, ხაბუმე და ნაფიჩხოვო.

წალენჯიხის მეორე საარჩევნო უბანში, არჩევნებში მონაწილეობა 3 471 ამომრჩეველმა მიიღო.

პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია - 1 791 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 221 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 1 234 ხმა;

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია - 225 ხმა (ფონდი 1863: 2).

1920 წლის 25 იანვრის საერობო არჩევნებისათვის ზუგდიდის პირველ

სარჩენო უბანი 7 საარჩევნო უბნად: დარჩელის, კახათის, ანაკლიასი, ცაიშის, ჯოღეჯიანის, აბასთუმანის და კოკის იყო დაყოფილი.

ზუგდიდის პირველ საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობა 3 015 ამომრჩეველმა მიიღო. აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, ზუგდიდის თითოეულ საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეთა რიცხვის სტატისტიკური მონაცემების, ასევე მთლიანად ოთხივე პოლიტიკურ პარტიის მიერ ზუგდიდის საარჩევნო უბანში მიღებული ხმების დაჯამებით დადგინდა, რომ ზუგდიდის I საარჩევნო უბანზე არჩევნებში მონაწილეობა არა 3 015 ადამიანმა, არამედ 3 055 ამომრჩეველმა მიიღო - ბ. ლ.

პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია - 1 015 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 591 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 937 ხმა; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია - 472 ხმა (ფონდი 1863: 2). აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, ზუგდიდის თითოეულ საარჩევნო უბანში საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მიერ მიღებული ხმების სტატისტიკური მონაცემების დაჯამებით დადგინდა, რომ ზუგდიდის I საარჩევნო უბანზე, სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ არა 472, არამედ 512 ხმა მიიღო - ბ. ლ.

ზუგდიდის მეორე საარჩევნო უბანო 10 საარჩევნო უბნად: ახალ-ხიბულის, ზუგდიდის, ჭაქვინჯის, ნარაზენის, ყულისკარის, ჭკადუაშის, რიყესი, კორცხელის, ნიკოსიას და ხიბულის დაიყო.

ზუგდიდის მეორე საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობა 3 157 ამომრჩეველმა მიიღო. აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, სტატისტიკური მონაცემების დაჯამებით დადგინდა, რომ ზუგდიდის II საარჩევნო უბანში, არჩევნებში მონაწილეობა არა 3 157 ადამიანმა, არამედ 3 159 ამომრჩეველმა მიიღო - ბ. ლ.

პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია - 1 108 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 256 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 1 590 ხმა; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია - 203 ხმა (ფონდი 1863: 2).

ხობის საერობო საარჩევნო უბანი 12 საარჩევნო უბნად დაიყო: ზანა, ხეთა, ნოჯიხევი, ხობი, დიდინეძი, ყულევი, ხორგა, შუა ხორგა, ქარიატა, ხორში, ქვალონი, საჯიჯაო (ფონდი 1863: 102).

ხობის საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობა 5 840 ამომრჩეველმა მიიღო. აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, ხობის თითოეულ საარჩევნო უბანში არჩევნები მონაწილეთა სტატისტიკური მონაცემების დაჯამებით დადგინდა, რომ მთლიანად ხობის საარჩევნო უბანში, არჩევნებში მონაწიეობა არა თუ 5 840 ადამიანმა, არამედ 5 849 ამომრჩეველმა მიიღო - ბ. ლ.

პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია - 3 445 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 855 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 1146 ხმა; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია - 394 ხმა (ფონდი 1863: 2).

ქალაქ ზუგდიდის საარჩევნო უბანი:

1920 წლისა 25 იანვარს ქალაქ ზუგდიდის საერობო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე - ილია დადიანი, მდივანი - ბაკური ივანეს ძე ჩილაჩავა, კომისიის წევრები: გიორგი კედია, იასონ მუჯირი, სოკრუს კეშელავა, ნიკოლოზ დარასელია და პოლიტიკური პარტიებიდან წარმომადგენლები: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია - სვიმონ ცანავა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - ლევან აფაქიძე; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - ანტონ ალანია; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტი - ბესარიონ ჯიქია.

საარჩევნო კომისიამ საარჩევნო ბიულეტინების დათვლას 21 საათზე შეუდგა. დათვლის შედეგად დადგინდა რომ, არჩევნებში მონაწილეობა 1 241 ამომრჩეველმა მიიღო. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის 1 ბიულეტინში ორი ბიულეტინი აღმოჩნდა. შესაბამისად, აქედან საარჩევნო კომისიამ 1 ბიულეტინი ბათილად ცნო.

პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგგვარად გადანაწილდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია - 542 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 494 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 43 ხმა; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია - 162 ხმა (ფონდი 1863: 47-48).

საარჩევნო სიის მიხედვით ზუგდიდის მაზრაში რეგისტრირებული 65 728 ამომრჩეველი იყო. არჩევნებში მონაწილეობა 20 782 ამომრჩეველმა მიიღო. შესაბამისად მოქალაქეთა აქტივობა - 31,61% შეუდგენდა. საარჩევნო კომისიამ 19 ბიულეტინი (ჯვარი - 8 ბიულეტინი, ჭაქვინჯი - 2 ბიულეტინი, ნოჯიხევის - 1 ბიულეტინი და საჯიჯაოს - 8 ბიულეტინი) გააბათილა.

პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია - 10

436 (50.21%) ხმა; აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, პროცენტული მაჩვენებლის დაანგარიშებით დადგინდა, რომ ზუგდიდის მაზრის საერობო არჩევნებში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიამ არა 50, 21 %, არამედ 50,074% მიიღო - ბ. ლ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 2 890 (13,9%) ხმა; აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, პროცენტული მაჩვენებლის დაანგარიშებით დადგინდა, რომ ზუგდიდის მაზრის საერობო არჩევნებში, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიამ არა 13,90%, არამედ 13,866% მიიღო - ბ.ლ.

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 5 836 (28,21%) ხმა; აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, სტატისტიკური მონაცემების

დაჯამებით დადგინდა, რომ ზუგდიდის მაზრაში საერობო არჩევნებში, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ არა 5 836, არამედ 5 863 (28,132%) ხმა მიიღო - ბ. ლ.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია - 1 593 (7,66%) ხმა (ფონდი 1863: 2) ასევე (ერთობა, 1920: N29).

ზუგდიდის მაზრიდან, სამაზრო ერობაში 30 ხმოსანი იყო ასარჩევი. თითოეულ საარჩევნო უბანშო, პოლიტიკურ პარტიებს შორის არჩეული ხმოსნების რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა:

ზუგდიდის პირველი საარჩევნო უბანი, სულ 6 ხმოსანი იყო არჩეული: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია - 2 ხმოსანი; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 1 ხმოსანი; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 2 ხმოსანი; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია - 1 ხმოსანი.

ზუგდიდის მეორე საარჩევნო უბანი, სულ 5 ხმოსანი იყო არჩეული: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია - 2 ხმოსანი; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 3 ხმოსანი; ქალაქ ზუგდიდის საარჩევნო უბანი, სულ 1 ხმოსანი იყო არჩეული: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია - 1 ხმოსანი.

წალენჯიხის პირველი საარჩევნო უბანი, სულ 6 ხმოსანი იყო არჩეული: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია - 4 ხმოსანი; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 1 ხმოსანი; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 1 ხმოსანი. წალენჯიხის მეორე საარჩევნო უბანი, სულ 5 ხმოსანი იყო არჩეული: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია - 3 ხმოსანი; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 2 ხმოსანი. ხობის საარჩევნო ოლქი, სულ 7 ხმოსანი იყო არჩეული, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია - 4 ხმოსანი; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 1 ხმოსანი; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 1 ხმოსანი; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია - 1 ხმოსანი (ფონდი 1863: 2).

ზუგდიდის მაზრაში არჩეული ხმოსნები, პოლიტიკურ პარტიების მიხედვით:

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია - 16 ხმოსანი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 3 ხმოსანი. საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 9 ხმოსანი. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია - 2 ხმოსანი (ფონდი 1863: 26).

ზუგდიდის მაზრიდან ერობის არჩეული ხმოსნები გახდნენ: წალენჯიხის პირველი საარჩევნო უბანი:

- ლეო მიხეილის ძე შენგელაია;
- იოსები ანტონის ძე კვარაცხელია;
- სამსონი შონია;
- პეტრე ნიკოს ძე ქვარცხავა;
- იოსებ ივლონის - ძე დადიანი;

- ლეო ანდრიას - ძე შენეგელაია.

ხობის საარჩევნო უბანი:

- დიომიდე თოფურიძე;
- დიმიტრი ივანეს - ძე გვასალია;
- ნესტორი მიხეილის - ძე ალანია;
- მიხა ივანეს - ძე ტურავა;
- იასონ ვარადებულის - ძე აფაქიძე;
- ნიკოლოზი კონსტანტინეს - ძე ბერიძე;
- კალისტრატე ასლანგერის - ძე კობახიძე.

ზუგდიდის პირველი საარჩევნო უბანი:

- ალექსანდრე ხიტუს - ძე ჩიქავა;
- კაჭუ ნესტორის - ძე ჩიქოვანი;
- ანტონი ოდიშარია;
- ივლონი ივანეს - ძე ოდიშარია;
- ვლადიმერი ბათას - ძე კაკულია;
- მიხეილი კაკულია.

ზუგდისის მეორე საარჩევნო უბანი:

- იასონი ნიკიფორის - ძე მუჯირი;
- ევთიმე სართანია;
- მიხეილი ივანეს - ძე ბერულავა;
- მიხეილი ხუტუს - ძე ცაგურია;
- ავქსენტი კვარაცხელია.

წალენჯიხის მეორე საარჩევნო უბანი:

- ერასტი დავითის - ძე კაჭარავა;
- მაქსიმე კონსტანტინეს - ძე ვეკუა;
- მიხა ლემონჯავა;
- ივანე პავლეს ძე - გობეჩია;
- კოწია შენგელია (ფონდი 1863: 149-150).

ქალაქ ზუგდიდის საარჩევნო უბანი:

გიორგი ნესტორის ძე ჭედია.

დასკვნა

1920 წლის 25 იანვარს ზუგდიდის მაზრაში მეორე საერობო არჩევნები ჩატარდა. არჩევნებში მოსახლეობის აქტივობამ 31,7% შეადგინა. აღნიშნულ არჩევნებში, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიამ 50.07% -ით მოახერხა გამარჯვების მოპოვება, შესაბამისად შეძლო 16 ხმოსანის გაყვანა. მეორე ადგილზე საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია გავიდა, რომელმაც ხმების 28.13% მიიღო, შესაბამისად 9 ხმოსანი გაიყვანა. მესამე ადგილზე - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გავიდა, რომელმაც ხმების 13,86% მიიღო, შესაბამისად 3 ხმოსანი გაიყვანა. მეოთხე ადგილზე 7,83%-ით საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია გავიდა, რომელმაც 2 ხმოსანი გაიყვანა.

ამდენად, ზუგდიდის მაზრაში საერობო არჩევენები დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით ჩატარდა. არჩევნების მიმდინარეობის პროცესში არ ჰქონია ადგილი ისეთ კანონ-საწინააღმდეგო ქმედებას, რომელსაც შეეძლო რაიმე სახის მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ჩატარებული არჩევნების შედეგზე.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

gazeti *„ertoba“*. (1920). 2 ianvari. N15. tbilisi. (გაზეთი *„ერთობა“*. (1920). 2 იანვარი. N15. თბილისი).

gazeti *„ertoba“*. (1920). 7 tebervali. N29. tbilisi. (გაზეთი *„ერთობა“*. (1920). 7 თებერვალი. N29. თბილისი).

pondi 1863. saist'orio tsent'raluri arkivi. pondi 1863. aghts'era 1. sakme 967. (ფონდი 1863. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1863. აღწერა 1. საქმე 967.

pondi 1863. saist'orio tsent'raluri arkivi. pondi 1863. aghts'era 1. sakme 998. (ფონდი 1863. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1863. აღწერა 1. საქმე 998.

pondi 1863. saist'orio tsent'raluri arkivi. pondi 1863. aghts'era 1. sakme 1068. (ფონდი 1863. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1863. აღწერა 1. საქმე 1068.